

გაზეთის შანი:

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-
შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, შეუთავის სახ-
ლში.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ, ВЪ
контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
სხვა და სხვა ენებზე. შანი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულო-
ბრივით ასოებით გზავთ სტრიქონზე 8 კაპ.

ქრონოსი

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ტილოსში
და გარეშე ადგილებში:
ქრონოსის წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთი ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

შინაარსი: თბილისი, 24 თებერვალს. —
მთავრობის განკარგულება. ცარკულიარი ღიდის
მთავრის ძველსი წამსტინისა. — ჩვენი ქვეყნის
ამბები. — საცნობი ამბები. პოლიტიკა: — ანგ-
ლია. პისინია. — ტელეგრაფები. სალიტერატურ-
რო ნაწილი: ბიოგრაფი მუშაკაძის ცხოვრება.
სახაზინო განცხადება. — ამრობითი განცხა-
დება.

თბილისი 23 თებერვალს.

19 თებერვალს, ხელმწიფე იმპერატორის
ტახტზედ აბანების და გლეხების განთავის-
უფლების დღეს რუსეთში, წელს ჩვენ მხარეს
მოენიჭა ერთი დიდი ბედნიერება, — კარგი სა-
მართალი მოეცა. ამ დღეს ღიდა მთავარმა
ძველსი წამსტინიკა გახსნა თბილისში ახა-
ლი სამოსამართლო დაწესებულება; ამ დღეს-
ვე უნდა გახსნილიყენენ ისინი გუბერნიის
და უფზის ქალაქებში ძველსი მხარეში. მკი-
თხველები ამ ნუმერში წაიკითხვენ ღიდის
მთავრის ძველსი წამსტინიკის განცხადებას,
რომელშიაც მოკლეთ არის გამოხატული ახ-
ლათ შემოღებული ცვლილება მთავრობითი-
სა, პოლიციისა და სამოსამართლო დაწესებუ-
ლებათა. ამ საგანზედ ჩვენც გვინდა ვუთ-
ხრათ ორიოდ სიტყვა ჩვენს მკითხველებს.

მის არ გამოუტლია ჩვენგანს, რა ძნელი
იყო უწინდელი წესით სამართლის მიღება,
რამდენი თრევა და ხარჯი უნდადა კაცს,
რომ სასამართლოში საქმე გაეთავებინოს.
როგორც საზოგადოება, ისე მმართველობა
ცხადთ გრძობდნენ, რომ სასამართლოები
ასრულებდნენ თავის დანიშნულებას. ცხადი
იყო ამასთანავე, რომ ამის მიზეზი მართო მო-
სამართლები არ იყვნენ; ამის მიზეზი იყო
უფრო სასამართლოების დაწყობილების და
განსამართლების წესის ნაკლებეანება. უმ-
თავრესნი ნაკლებეანებანი მდგომარეობ-
დნენ შემდგომში:

1) პოლიციის და სასამართლოს უფლება-
ნი არ იყვნენ ერთი ერთმანერთისაგან გან-
საზღვრულნი, არეულნი იყვნენ. მანათლებულს
ქვეყნებში ამ ორის უფლების დანიშნულება
ცხადთ არის გარკვეული და განსაზღვრული.
პოლიციას თავის საკუთარი დანიშნულებ-
ა აქვს. ის არის მხარის გამგებელი, იმის
ვალაა წესი და მშვიდობიანობა დაცვას,
იზრუნოს ხალხის კეთილ-დღეობაზედ, აუს-
რულოს მისი საქიროება, ასრულებსი მოი-
ყვანოს მთავრობის განკარგულება და სხ. სა-
სამართლო მხოლოთ მაშინ შეუდგება საქმის
განხილვას, როცა იქ შევა საჩივარი რომე-
ლიმე სიმართლის დარღვევაზე, ე. ი, როცა
რომელიმე პირი მოახდენს იმისთანა საქმეს,
რომელიც კანონით აკრძალულია, ენებას მი-
სცემს რომელსამე პირს და მისს საკუთრებას.
რუსეთის იმპერიაში აქამდის პოლიციას, გარ-
და თავის საკუთარს საქმეებისა, მინდობილი
ჰქონდა ზოგიერთი სამოსამართლო საქმეების
გარჩევა და გამოძიების მოხდენა. მარდა ამი-
სა სასამართლოები იმის საშუალებით იბარე-
ბდნენ მოჩივრებს, მოწმებს და აგრეთვე ას-
რულებსი მოწყადათ თავიანთი განაჩენი.
პოლიციას თავის საკუთარი საქმეც ბევრი
ჰქონდა და ამისთვის მინდობილის სასამართ-
ლო საქმეების ასრულება იმას მეტად ამძი-
მებდა. ამ არეულობისაგან ის წარმოსდგა,

რომ პოლიცია ორივეს ვერ გაუვიდა: ვერც
თავის პირდაპირს დანიშნულებას ასრულებდა
და ვერც მინდობილს სასამართლოებისაგან.
დაუსრულებელი მიწერ-მოწერა იყო სასამარ-
თლოებს და პოლიციას შუა და საქმე კი წინ
არ მიიწევდა.

2) მეორე თავი ნაკლებეანება ძველის
სასამართლო წესისა იმაში მდგომარეობდა,
რომ გრძელი ვადა ეძლეოდათ მოჩივრებს
პასუხის და საბუთების შესატანათ სასამარ-
თლოებში. ამასთან კიდევ ეს უნდა შეეწინა-
ნოთ, რომ პრაქტიკაში მოჩივრებს ამ ვადა-
შიაც არ შეჰქონდათ პასუხი. მისაც საქმის გა-
გრძელება უნდადა, იმას ყოველთვის ადვი-
ლათ შეეძლო არ აესრულებინა სასამართლოს
მოთხოვნები. სასამართლო მოუწოდებდა
ხოლმე მოჩივრებს პოლიციის საშუალებით.
პოლიციას უნდა ჩაებარებინა მოპასუხესათვის
მოწოდება, რომლითაც სასამართლო იმას
იბარებდა და იმისგან ხელწერილი ჩამოერთ-
მეინა, ამა და ამ დროს სასამართლოს მოწო-
დება მოვისმინეო. ამ დროდგან ითვლებოდა
დანიშნული ვადა სასამართლოში მისასვლე-
ლად ან პასუხის მისაცემათ. მისაც არ უნდადა
მაღე საქმის გათავება, იმას შეეძლო დიდხანს
არ მიეცა ამ გვარი ხელწერილი. პოლიციას
იმდენი საშუალება არა ჰქონდა, რომ ედევნა
მოპასუხესათვის, სადაც ის წავიდა და ხელ-
წერილი ჩამოერთმეინა. მინამ ეს პირი ხელ-
წერილს მისცემდა, მოწოდება მოვისმინეო,
და ვადაზედ თავის პასუხს მისცემდა, საქმე
უძრავათ ეგდო სასამართლოში; მერე საქმის
წარმოებაში კიდევ საქირო ამოჩნდებოდა ცნო-
ბის ჩამოერთმევა მოჩივარის მხარისაგან, იმა-
საც იმდენი დრო დასჭირდებოდა და საქმე
გაჩერებული უნდა ყოფილიყო, მის გათავე-
ბას ბოლო აღარ ჰქონდა.

3) საქმის გათავებას მეტად აგრძელებდა
კიდევ ინსტანციების სიმრავლე. შესაძლებ-
ელი იყო, რომ ერთს საქმეს ხუთს და ექვს
ერთი მეორეზედ უმაღლესს სასამართლოში
გაეელო. შოველგან იმას ხელ-ახლად გარჩე-
ვა უნდადა, ხშირათ საქიროთ აღმოჩნდე-
ბოდა კიდევ ცნობების შეკრება; ამისგამო
გაიმართებოდა გაუთავებელი მიწერ-მოწერა
სასამართლოებსა და პოლიციას შუა და სა-
ქმის დასრულებას საშეველი აღარა ჰქო-
ნდა. რამდენი საქმე ვიკით, რომ დაწყებულია
20, 30, 40 და 50 წლის წინათ და ჯერ კიდევ
არ გათავებულა. ძაცი დავას თავის თავს და
საცხოვრებელს გადააღვედა და მერე კიდევ
რომ მოეგო, რაღა ნუგეში იყო.

4) ძველი სასამართლო წესის თავი ნაკლ-
ეანებათაგან კიდევ ის იყო, რომ საქმე სულ
ქალაქით და არა სიტყვიერათ წარმოებდა,
საქმე წყდებოდა საიღუმლოთ კანცელარიაში
და არა საქვეწრთ და სახალხოთ. ცხადია,
რომ მოსამართლე უფრო გარკვევით და მა-
ღე შეიტყობს მოდავე მხარეებისაგან საქმის
გარემოებას, როცა ისინი მის წინ დგანან და
სიტყვიერათ ეუბნებიან, მინამ იმ შემთხვევაში,
როცა იმან ქალაქით უნდა მოსთხოვოს მათ
სხვა და სხვა საქირო ცნობები.

5) სასისხლო — სამჯავრო საქმეების გარჩე-
ვაში ძველის წესით უმთავრესი ნაკლებე-
ანება იმაში მდგომარეობდა, რომ ბრალდე-

ბულის დასასჯელათ საქირო იყო ესრეთ წო-
დებული ფორმალური დამტკიცებანი. ძანონი
თხოულობდა, რომ ბრალდებული მხოლოთ
მაშინ დასჯილიყო, როცა ის გამოსტყ-
დებოდა თავის დანაშაულობაში, ან სა-
ქმეში ცხადი და უეჭველი საბუთები იყვნენ
მისი გამამტყუნებელნი. მაგალითათ, თუ და-
ნაშაულობაზე დასწრენ სხვა პირნი და იმათ
ფიცს ქვეშ გამოაცხადეს, რომ თვითონ დაი-
ნახეს ბრალდებულის უკანონო მოქმედება.
ცხოვრებაში ძვირათ მოხდებდა ხოლმე, რომ
დანაშაულმა თავის ბოროტ-მოქმედება თვი-
თონ აღიაროს, კიდევ უფრო ძვირათ ის მო-
ხდებდა, რომ ცუფმა კაცმა თავის უკანონო
მოქმედების დროს თან დაისწროს იმისთანა
პირები, რომელნიც მას გასცემენ. აქედან ის
წარმოსდგებოდა, რომ გამოქნილი და-
მნაშაენი სასჯელა თავიდან ადვილათ იცი-
ლებდნენ. ხშირათ მოსამართლენი ცხადთ ხე-
დავდნენ გამოძიებაგან, რომ ესა და ეს კაცი
დანაშაული არისო, მაგრამ რადგანაც არ ჰქო-
ნდათ სრული დამტკიცებანი, იმ გვარი საბუ-
თები, რომელთაც კანონი მოითხოვს ბრალ-
დებულის დასასჯელათ, იმას ანთავისუფლე-
ბდნენ. ამ კანონის წიგრე ცუდი მხარე იმა-
ში მდგომარეობდა, რომ ის ხშირათ კაცს ექვს
ქვეშ სტოვებდა. გამოძიებაში თუ იყო იმისთანა
საბუთები რომლის ძალითაც ბრალდებუ-
ლის დასჯა არ შეიძლებოდა, მაგრამ სა-
ექვეო კი იყო იმისი სიმართლე, სასამართლო
ამ გვარს კაცს ექვს ქვეშ სტოვებდა. ამ გვა-
რს კაცს საზოგადოებაში ცხოვრება არ ჰქო-
ნდა; ყველანი იმას ისე უცქეროდნენ, როგო-
რც დამნაშაენს, იქნება კი სრულიათ უბრალო
ყოფილიყოს იმ საქმეში, რომელსაც აწამე-
ბდნენ.

6) ძველს განსამართლების წესში კიდევ
ბევრი სხვა ნაკლებეანება იპოვებოდა, მაგ-
რამ იმათი ჩამოთვლა შორს გასწევს. სხვათა
შორის სადაეო საქმეებს ის აგრძელებდა და
ხლორთავდა, რომ სასამართლოები არ სჯერ-
დებოდნენ იმ საბუთებს, რომელთაც მოდავე
მხარენი წარმოადგენენ ხოლმე. სასამართლო-
ები ხშირათ ამგვარს საქმეებზედაც ძიებას მო-
ახდენდნენ, როგორც სასისხლო-სამჯავრო სა-
ქმეებში.

თუ როგორ მოისო ეს ნაკლებეანებანი ახალი
წესებით, ამაზედ შემდგომ ნუმერში მოვილაპარაკებთ.

მთავრობის განაარბულება.

ცირკულიარი ჩემს უმთავრესს სამ-
მართველოსადმი, გუბერნიების და
თემების უფროსებისადმი, სასამართ-
ლო პალატის და ოლქის (სამაზრო) სა-
სამართლოს თავს მჯდომარეთადმი,
ცალკე დაწესებულებათა მმართველ-
თადმი და საზოგადოთ ყველა საგუ-
ბერნიო, საუფზოდ და სხვა სამმართ-
ველოთადმი.

მისმა იმპერატორების დიდებულებამ 1867
წელს 9 თებერვალს მმართველის სენატისა-
დმი მიცემულის სახელდებულის უქაზებითა,
დამტკიცა რა ჩემი მოსაზრებანი გასამგებო,
სასამართლო და სამიჯნავო ნაწილთა ახალ
დაწყობილებაზე ძველსი აქეთა მხარეში, აგ-
რეთვე გასამგებო და სასამართლო ნაწილისა
სტაციონაროლის უბერნიაში, უმაღლესად ბრ-

ძანება ვასცა: ამ ნაწილებზე გამოცემულნი
სჯულთ-დებანი შეიყვანონ მოქმედებაში
1868 წლის 1-ლს იანვრიდგან.

ამ საფუძველით ამ წლის 1-ლს იანვრიდ-
გან მე შევიყვანე მოქმედებაში: წესდება ჩემს
უმთავრესს სამმართველოზე, წესდება საკარან-
ტინო-დამოქნის ნაწილზე ძველსი იქით და
აქეთ მხარეში; სამმართველონი სახელმწიფო
ქონებათა და ძველსი აქეთა მხარის საფორ-
ტო ნაწილზე და სამმართველონი სამოქალა-
ქო უწყების სამკურნალო ნაწილისა ძველსი
ის იქით და აქეთ მხარეში, აგრეთვე თანამდ-
ბობის დარიგება ყველა დაწესებულებებში
(ცირკულიარი, გამოცემული 1867 წლის 31
დეკემბერს № 460). ამასთანავე წინადადება
მიეცი გუბერნატორებს და განსაკუთრებით
კამისიას შედგენილს უმაღლესს სამსჯავრო
მოხელეებისაგან აცნობონ ჩემს უმთავრესს
სამმართველოს ჯგროვანი ცნობანი, რომ
ყოველგან ერთ დროს გაიხსნას, შეიცვალოს
და გაუქმდეს დაწესებულებანი.

მანინილე რა წარმოადგენილინი ცნობანი,
მე შესაძლოთ შევრაცხე, რომ მოქმედებაში
შეყვანილ იყო 1867 წელს 9 დეკემბერს
უმაღლესად დამტკიცებულნი სჯულთ-დებანი
ჩემდამო რწმუნებულის მხარის გადაკეთებაზე
ამ წლის 19 თებერვალს.
ამასთანავე წინადადება მიეცი რა გუბერ-
ნატორებს და ოლქის სასამართლოს თავს-
მჯდომარეებს, რომ მოხსენებულნი სჯულ-
დებანი შეიყვანონ მოქმედებაში 19 თებერ-
ვლიდგან განსაკუთრებით მიცემულის ინსტრუ-
ქციების და თანამდებობათა დარიგების ძალით
ამით განგიცხადებთ:

I აქამდის რომ ძველსი აქეთა მხარეში
ოთხი გუბერნია იყო, მათგან უნდა გაკეთ-
დეს ხუთი, — ახლის მანჯის გუბერნი-
ის დაწესებითა, რომელიც შესდგება თბილი-
სის, ბაქოს და მრეენის გუბერნიის ნაწილე-
ბისაგან.

ამასთანავე ძველსი აქეთა მხარის გუბერ-
ნიები რომ აქამდის უფლებათ იყოფებოდ-
ნენ, ის რიგი დაყოფა შეიცვლება.

ა) —
ბ) შუთაისის გუბერნია განიყოფა შეიდ
უფზდით: შუთაისისა, შორაზნისა, რაჭისა,
ოლხურეთისა, ზუგდიდისა, სენაკისა, და ლე-
ჩხუმისა და სვანეთის საპრისტავო.

გ) თბილისისა განიყოფა ექვს უფზდით: ბო-
რისა, ლეშეთისა, თელავისა, თიონეთის სა-
პრისტავოთ თურთ, სიღნახისა, შირაქის საპრი-
სტავოთ თურთ, თბილისისა თიონეთის და
ლორის საპრისტავოებით და ახალციხისა,
ახალქალაქის საპრისტავოთი.

დ) —
ე) —
ვ) —

II შევლა ძველსი იქით და აქეთა მხარის
გუბერნიებში და ძველსი აქეთა მხარის უე-
ზდებში ცხრავე თებერვლიდგან დაწყებენ
ახლნი დადგენილობანი თავიანთ მოქმედება-
სა გასამგებონიცა და სასამართლონიცა 1867
წელს 9 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებუ-
ლის წესდებათა ბეჯითის საფუძველითა და ჩემ
მიერ დამტკიცებულის თანამდებობათა რი-
გრიგობისა მებრ.



ფროსობა და მამულის მემკვიდრეობის უფლებ-
ბა, (2) რომ თავისუფალი საკუთრების მება-
ტრონობა ჩამოეარდეს ანგლიაშია. პროფე-
სორს ყოველის მხრით კიცხვა მიაცენეს.
რაც უნდა იყოს, ანგლიაში ეხლა თან და
თან ის ჰაზრი ერცელდება, რომ საქორაო
სოფლის გლეხი იმ დაჩაგრულ მდგომარეო-
ბიდან გამოეყვანათო, რომელმაც დღეის
აქამომდეა; იქაურ გლეხობის მდგომარეობა
ანგლიისთვის პატიოსნობა არ არის, სირცხვი-
ლია.

შენი ელემბი. შ. ლუი-ბლანი ლონდონ-
ის კორესპონდენტი ფრანკციულის გაზეთისა
„ღროებისა“ იწერება იანვრის 17.(28)დგან
„შემართო, დაიციე მწვანე ქვეყანა!“ ამ სიტყ-
ვებითა თავედბა ფენიელის პროკლამაცია,
რომელიც ეხლა ხანს იყო კედელზე მიკრული,
ფენიობა სრულიად ამ სიტყვებში გამოითქმის.
მაგრამ თავისი ნაციონალური გრძნობა, რომ-
მელიც ამ პროკლამაციაშია გამოცხადებული
მწვანე მხარეზე, ესე იგი ირლანდიაზე, აღრე-
ვე ყოფილა ირლანდიის ხალხში თუ არა? ვი-
ნც კი ამას არ აღიარებს უნდა კი შეიგნონ,
რომ ირლანდიის ხალხის დიდ ნაწილში არის
ჩამომავლობითი მტრობა ანგლიელებისადმი;
ამ მტრობა გრძნობამ ჩაიდინა ის საქმე;
რომ ამერიკელ ირლანდიელებშიც მხურვა-
ლე სურვილია, ირლანდია ანგლიის ხელისა-
გან გამოიხსნან; ამ სურვილმა დაბადა ფენი-
ობა; და ბოლოს ფენიობას ფ. სევი გავლდგამს
ირლანდიის ხალხის დიდ ნაწილში, რომელშიც
თუ საქმით არ ეწევა, თანაგრძნობას მაინც
ცხადათ აჩენს და გაურკვეველათ რაღაცა სუ-
რვილშია. ირლანდიელმა მღვდელმა, ლოველ-
მა, ახლა ხანსა სთქვა უმრავლესს კრების წი-
ნაში აი რა; ჩვენ ბევრი გესმენია იტალიაში
და სხვა ქვეყნებში მომხდარ პლებისციტე-
ბზე (ხალხის კრების გადაწყვეტილება რაზე-
დმე). რატო ირლანდიაში კი ამ სასარგებლო
ხალხის ჰაზრის მოთხოვნებიდან არ დაეკით-
ხებიან და ესა სკადონ და ათისაგან ცხრა
ირლანდიელმა თუ არ წამოსთქვან ირლან-
დიის გამგებლობის სრულებითი გაკალკე-
ვება ანგლიისაგან, მაშინ მე პირობასა ვდებ
რომ ერთი სიტყვა არ წამოვსთქვა და ერთი
სტრიქონი არ დავწერო ირლანდიის განთა-
ვისუფლებაზე;“ მე სარწმუნოთა ვარ, რომ
მამა ლოველის სიტყვა ნამდვილათ მართალი
არ არის და ცოტა მომატებულია. მაგრამ
ეს კი უეჭველია, რომ ირლანდიის გაკალკე-
ვება ანგლიისაგან ირლანდიელებში ყოვე-
ლთვის გავრცელებული ყოფილა. ამაზე
იყო რომ დაუყოვნებლივ ურობობდა მ.
კონნელი თავის უკანასკნელს დღეში. ეს კა-
ცი ყველაზე უმეტესათ ხალხის საყვარელი
იმ პროკლამაციებით შეიქნა, რომელიც ირლან-
დიელის გაკალკევებაზე იყო. იქნება ამიტომ
არის ამისი სახელი ზოგათთვის ძვირფასი,
ზოგათთვის საძულველი. დიდი ხანა მ.
კონნელის ნათქვამი სიტყვები 1846 წელს ირლან-
დიაში ძლიერათ ისმის. იმანა სთქვა: „ირლან-“

დიელებო, თქვენი პოლიტიკური რწმუნება
გამარტივებთ ამით, უნდა იცოდეთ რომ 1-ათ
ირლანდიის ჰირისაგან გადარჩენა მხოლოდ
ერთის ლონის ძიებით შეიძლება, რომ ანგლი-
ის სახელმწიფოსაგან გამოვიდეს ირლანდია.
2-ეთ) რომ თქვენ შეგიძლიათ ამისი ასრუ-
ლება, თუ ნდობა და მამულის მოყვარება
გექნებათ და თუ ერთმანეთთან თანხმობას
მოახერხებთ ამ ჰაზრისათვის.“ ანგლიელები
რასაკვირველია, იქნება მართალს ამოხდენენ,
რომ ირლანდიის ერთობა ანგლიასთან და
შოტლანდიასთან, ირლანდიისთვის სასარგე-
ბლო არი და ცალკეობით არაფერს ხეირში
არ ჩაეარდებოდა; სრულიად თავის თავის
უფლებას კი ვერ დაიკავებდა, თუნდა რომ
კიდევ. შესძლებოდა და მოეპოვებინა, საქმე
იმში მდგომარეობს, რომ უბედურს ირლან-
დიაში ბევრი თესლია შინაურ განხეთქილე-
ბისა და უთანხმოების აღმოსაყენი. ირლან-
დიაში ორი ირლანდიაა: ერთი ნაწილი აღის
1171 წლამდინ ანგლიელებისაგან ირლან-
დიის დაქვემდებარების, მეორე ნაწილი შესდგა
ერთმანერთზე შემოსეულთაგან, დამპყრობთა-
გან და კონფისკაციისაგან მლისაბედის, პრო-
მეველისა და მილჭელმ მესამის დროს. ამას გარდა
არის კათოლიკეთ და პროტესტანტების ირლან-
დია, ადგილობრივი და ირლანდია ანგლი-
ელებისა და თითქმის შოტლანდიელებისა; ირლან-
დია რომელიც თავის დროზე ლეთისმშო-
ბლის ხატსა სახავს და ირლანდია მილჭელმ-
ორანელის სახიან დროითა. ამ გვარი რომ
რომ ყოფილიყო ანგლიაში მ. კონნელის
სიტყვა ვითამ არ ასრულებულიყო თუ. „ირლან-
დიელის შამფურზე შეწვა რომ საქორაო
ყოფილიყო, მეორე ირლანდიელი მზათ გამო-
ჩნდებოდა ამ საქმის ასასრულებლათ.“ აი
ამაგების წინ გამოტანა შეუძლიათ ირლანდიის
შესახებ, მაგრამ საქმე ის არ არის, რომ შეი-
ტყონ, თუ რა სურვილი შეუძლია იქონიოს
საწყალობა და უკმაყოფილო ირლანდიელმა;
არა, საქმე ის არის, რომ შეიტყონ ნამდვილი
იმისი სურვილი. მართლა და არაფერ ამაზე
წინააღმდეგს არ იტყვის, რომ ქვეყანაზე არის
ძალიან ღარიბი და უკმაყოფილო მხარე
ირლანდია და ამის უბედურება რომ შეიგნო-
ბუქებინა ანგლიას, და მღვდელარება დემოკრე-
ციონა, ანგლიის ინტერესისათვის ძალიან დი-
დი საქმე იქნებოდა. აქ (ანგლიაში) მრავალსა
ნახავს კაცი, რომ ქვეყანას დააჯერებენ
ვითამც ირლანდიელები ყოველ თავის უბე-
დურებაში თითონ არიან ბრალეულნიო.
ყური დაუგდეთ ეს ბატონები რას ამბობენ:
თუ სახნავ სათესი კარგა შემუშავებული არ
არის, ეს იმიტომაო, რომ გლეხი თავის მდგო-
მარეობის გაცემბას არა ზრუნავსო; თუ ირ-
ლანდიაში აღრინდელი ალყავებულები მანუფა-
კტურა არ არის, ეს იმიტომ ასეა, რომ ყო-
ველთვის მუშა-ხელოსნების პირობის შეკერა
კაპიტლისტების (თანხის პატრონების) წინა-
აღმდეგ ბოლოს ძალას ატანდა თანხის პატ-
რონებს, სხვა ადგოს გადაეტანათ თავიანთი
თანხაო; მამულის მებატრონენი თავის მამულ-
ში არა სცხოვრებენ, ეს იმ მიზეზისაგამო,
რომ ეშინიანთ მიპარებით არაფერ არ მოჰქ-
ლას; ზღვის მრავალი თევზი, რომელიც ირ-
ლანდიის ნაპირს მოდის თუ არ იჭერენ ირ-
ლანდიელები, ამის მიზეზათ საზოგადოება მო-
ჰყავთ, რომ ხელში ჩაუგდია იმისი დაქვერა იმ
მიზეზით, რომ ხალხი თევზს არ დასდევსო.
რამდენჯერ ამომიკითხავს ანგლიურ გაზეთში
„ტიმისში“, რომ ირლანდიელებს ის რამ აკ-
ლიათ, რასაც ვერც ერთი მიპარებლობა იმთ
ვერ მისცემსო; სახელდობრ აკლიათ: შრომის
მოყვარება, თანხმობა, ნდობა მეზობლისა
და თავის თავისა. რამდენჯერ გამოგონია სხვა
და სხვა პირობათებით მომხრე კაცებისაგან,
რომ ირლანდიელების უბედურება, თითონ
იმთ უნდა მიეწეროს, ნაკლულეყანება რომ-
მელიც კელტის სისხლის ჩამომავლობით დაჰ-
ყოლია. ანგლიაში რომ კაცმა დაუჯეროს

ბევრისაგან გაიგონებს, რომ ირლანდიელი
ბუნებითვე ზანტიაო, წინათ მიხედვრა არა
აქეს, სძულს ანგლიის კანონები და თითქმის
კაცი მკვლელობასაც შეჩვეულა. მაგრამ გა-
ნათლებული სამართლიანათ მოლაპარაკე ან-
გლიელები სხვას ამბობენ. ამ რამდენსამე
წლის წინათ მილიამ ტოტონი სწერდა
და იმის ნაწერს აქამდის მნიშვნელობა აქეს.
ისა სწერდა: ირლანდიელები დაუდევარნი იმი-
ტომ არიანო, რომ რაკი სახელმწიფოს ხარ-
ჯის გადახდისთვის საზოგარს მოჩივებან მეტ
შრომაზე ხალისი აღარა აქეთ, რადგანაც ნა-
შრომი მებატრონებს უნდა ერგოს. წინათ მი-
ხედვრა არა აქეთ იმიტომ, რომ ადამის დრო-
ინდელს მდგომარეობითს ლოლილში ცხოვ-
რებისაგანა არ შუქლიათ ანგარიშობა გა-
სწიონ სახელეოს მოსაზრებითა. ირლანდიე-
ლები საკლავით იმისაგანა ცხოვრობენ,
რომ ნაჭირანხულებისაგან იმთ მართო იმას
აძლევენ, რაც კი უსაჭიროესია დღეურათ
რჩენისათვის. ზოგი იმათგანი არ დასდევს
არც სამტოს, არც საერო კანონსა, მაგრამ
მიზეზი ეს არის, რომ უკანასკნელი მათხოვა-
რის სიღარიბე განწირულებაში აგდებს და
განწირულება მძინვარებაში. არა, უსამართ-
ლოებაა ირლანდიელების გამტყუნება, ვითამ
იმთივე ბრალი იყოს იმათი უბედური მდგო-
მარეობა; ნამდვილი ამისი წყარო უნდა ვე-
ძებოთ იმ დამჩაგრულ გარემოებაში, რომელ-
შიც გლეხობის მუშაობა ჩაეარდნილი. ამას
გარდა იმაში მდგომარეობს ირლანდიის უბე-
დურობის მიზეზი, რომ მანუფაქტურა დაეცა
ანგლიის მეცადინეობით... ამ დღეებში „თა-
იმისში“ დაბეჭდილი წიგნი, დაბეჭდილი იმ ჰა-
ზრით, თუ ირლანდია როგორ გაკეთდა ამ
30 წლის განმავლობაშია. ეს მართალია, რომ-
გორც ის არის მართალი, რომ ესლანდელი
ანგლია უარზიდაც არ არის, რომ აღრინდე-
ლი ტვირთი ახსნას ირლანდიისა. მაგრამ ამ
წარსულს დროებიდან ბევრი ძნელათ მოსა-
შლელი კვალი დარჩენილა. ირლანდიის მა-
ნუფაქტურის დარღვევა, იმ გვარი წესის ჩა-
მოგდება, რომლითაც გლეხს შეეძლო პატა-
რა მიწის შემუშავება ერთი ლუქის მოსაპო-
ვებლათა, დიდი სიღალბაკე ირლანდიის გლე-
ხის დიდ ნაწილში და ცუდი მოპყრობა ირ-
ლანდიის მებატრონებისა და ხიზნებისა (არენ-
დატარებისა) ეს ყველა შეერთდება დიდნის
ერთმანერთზე დამლაღებასთან. ამაში ესლან-
დელი ანგლია დამნაშავე არ არის, მაგრამ
დროებამ პასუხის გებაში კი ჩააყენა.

ადგილ-მამულელების საქმე ირლან-
დიაში. ზემოთ მოტანილ წიგნის შემდეგ
მეორე წერილით ლუი-ბლანი იწერება იმავე
გაზეთში, Temp-ში იანვრის 19 (31)-სა: „
ადგილ-მამულის საქმეა, რომ ანგლიამ უნდა
გადასწყვიტოს (რლანდიაში, თუ ირლანდიის
დაახლოება უნდა თავისთანა (ვთქვით ეს და-
ახლოება შესალებელია). საუბედურათ ად-
გილ-მამულის საქმე ისეთ გარემოებასთან
არის შეერთებული, რომ რიგიანათ საქმის გა-
დაწყვეტას ერთი ორათ აძნელებს. არ უნდა
დავიფიქროთ, რომ ირლანდიის მამულის პა-
ტრონები არიან შემოსულ ირლანდიის დამ-
ტრონების ჩამომავლნი; მხენელ-მთესველე-
ბი არიან დამარცხებულების ხალხის ჩამომავ-
ლობა. აი ეხლა ერთი ერთმანეთის პირდაპირ
რა დგანან“. ირლანდიაში რომ ვთქვათ, ნამ-
დვილათ გლეხი მამულის პატრონი არ იპო-
ვება. ამ მხარეში ყველა მამულის პატრონს
თავისი ადგილი ან ირლანდიის ხმლით აღე-
ბისაგანა აქეს, ან კონფისკაციისაგან (მამულის
ჩამორთმევისაგან). ირლანდიის დაპყრობის
ისტორიაში ორი დრო (გოქა) უნდა გავარ-
ჩიოთ. პირველი დაქვერა ანგლო-ნორმანები-
სა მეთერთმეტე საუკუნეში რომ მოხდა, არ
უნდა შეურიოთ კონფისკაციებს (მამულის
ჩამორთმევის) მლისაბედის, პრომეველის და
მილჭელმ მრანელის დროს. ანგლო-ნორ-
მანების შემოსევამ, ირლანდიაში დიდი კვა-

ლი არ დაადგო; ადგილობრივ საერო მებატრონებს
(კლანებს) სამი ნაწილი დარჩათ და ერთი
ნაწილი ანგლო-ნორმანების მებატრონებმა
დაიხმეს; ამ გვართ ეს მებატრონე ძველ კე-
ლტების მებატრონეთ ნაცვლათ დაჯდა, ძველი
ადგილობრივი კანონები მიიღო და უფრო
ძველებურ მამასახლისსა ჰგავდა, ვიდრე ფეო-
დალურ ბარონსა. მაგრამ დიდი ისტორიული
ტანჯვა ირლანდიას შემდეგს დროებში უნა-
ხავს: სახელდობრ მეთექვსმეტე საუკუნის ბო-
ლოდგან მლისაბედის და პირველ ორ სტუ-
არტების მეფობის დროს, ტირონის და ტირ-
კონელის საგრაფოების ადგომის დროსა,
პრომეველის (ანგლიის რესპუბლიკის თავი მე-
ჩიდმეტე საუკუნის ნახევარში) შესევის დრო-
სა და მამულების კონფისკაციის დროსა, რომ-
დესაც ექვსი ნაწილიდან ხუთი ნაწილი მა-
მულებისა ირლანდიელებს ჩამოერთვა; დაძა-
ლადების დროსა 1688 წლის რევოლუციის
შემდეგ, როდესაც მეთორმეტე ნაწილიც სხვე-
ბის ხელში გადავიდა და ბოლოს სასტიკ კა-
ნონების დროს, როდესაც ანნის დედოფლო-
ბის დროს კათოლიკებს (ირლანდიაში თით-
ქმის სულ კათოლიკენი არიან) აკრძალული
ჰქონდათ ირლანდიაში მამულის ყიდვა და
არ შეეძლოთ მამულის თავის სახელზე დამ-
ტკიცება ოც და თერთმეტ წელიწადზე მე-
ტათ; არც შეეძლოთ, რომ ჯამაკირის მესამედ-
ზე მეტი თავისთვის დაენარჩუნებინათ. პრომ-
ველს ეკუთვნის ის საზარელი დიდება, რომ
ყველაზე მომატებულათ გაანადგურა, სისხ-
ლით წარპყვნა და დასაგრა ირლანდია. რომ-
მელი ირლანდიელი დივიწყებს, საშინელს
ქლევასა 1649 წელს ანგლიის რესპუბლი-
კის დასაწყისში, პრომეველის დროს მარიამო-
ბის თვის მ-სა როტმინესში ენკენისთვის 11-ს.
დროგდში, 12 ლენობისთვის შექსეორდში
და გიორგობის თვეში პორკში. მრომც და
ხუთი ათასი სული ირლანდიელი გააგდეს დე-
და ქვეყნიდანა და გავიდა შრანციაში და
იტალიაში. ძალაქების მცხოვრებლებსაც ის
დღე დადგათ, რაც სოფლის ხალხს; პრომ-
ველისაგან ნაბმანები მამულების ჩამორთმევა
არ ინდობდა თითონ ანგლიელებს; კათოლი-
კე-სარწმუნოებისას და თითქმის პროტესტანტ
ანგლიელებს, რომელნიც ანგლიაში დაბადე-
ბულიყენენ, მხოლოდ კათოლიკე კოლი შეერ-
თათ. ამების დახსომება, რომელიც ხალხს
აქამდის არ დაეწყებია და ადგილ-მამულის
საქმეს საღმობელ საქორეობასა ჰმატებს. მრ-
თი მწერალი (საიღამაც ზოგი რამ ამ წერილ-
შია მოტანილი უ. პეტრ შოქსი) ამბობს:
ჰკითხეთ ირლანდიელ პროტესტანტის ოჯახ-
სა იმის ჩამომავლობა და ის ოჯახი გეტყ-
ვის თქვენ, თუ ის რა შემოსევის ზვირთებს
მოუტანიათ ირლანდიაში. ჰკითხეთ, ვინც კი
მოგხედეთ მოხიზნე ან ირლანდიელი გლეხი
და ნახეთ, რომ ყველა მამულის ისტორიუ-
ლი თავ-გადასავალი კარგა იცის. ის გეტყვის:
„ეს მამული მ. დროგებს ჩამოართვეს. აი ეს
რეილისსა, ეს ძაენავს, ეს დესმომონსა ან
როშაოა“. მართლა საკვირველება იქნებოდა,
რომ ამდენ ამღერეულობებში მამულის მარ-
თვა აყვავებაში ყოფილიყო; არა ეს ამღერე-
ულობა, რასაკვირველია, ხალხს უშლიდა ხენა-
თესვასა და ამიტომ წარსულის საუკუნის და-
სრულებამდის ისევე ისე დარჩა ირლანდიის
ხენა თესვა, როგორც ძველის ძველ დროებ-
ში ყოფილა და როგორც მრავალნი ჰგონე-
ბენ, ეს ქვეყანა თავის ჰავისა გამო უფრო
სამოვარ ადგილათ უნდა დარჩესო. მაშამ შე-
მთხვევაში საქორა, იქნებოდა, რომ ღარიბ
მცხოვრებლებს შესაწევარათ მანუფაქტუ-
რული აღებ-მიცემობა გამართულიყო. მაგრამ
ვაი, რომ ამშიაც ირლანდია მსხვერპლათ მო-
უტანეს ანგლიასა. წინათ მოწერილ წიგნში
ლორდის ლუფერინის ბროშურა მოვიხსენე.
იმაში ისეთი ფაქტებია მოტანილი, რომ თვა-
ლის აცილება არ შეიძლება. სახელმწიფო

(1) შარზან ლონდონში მიტინგის (შეკრობის)
დროს მუშა ხელოსანთ საზოგადოებისა, რომელსაც გა-
ნზრახვა აქეს მოქალაქური და პოლიტიკური ცვლი-
ლება წარმატებაში შეიყვანოს, ამ მიტინგში უ. ზო-
ნსმა წაიკითხა თავისი გამოკლევა, ანგლიის მიწის სა-
კუთრებაზე. მრატორი ამტკიცებდა, რომ 1770 წე-
ლს ანგლიის შეერთებულს საკოროლოში (ესე იგი
ანგლიაში, ირლანდიაში და შოტლანდიაში, რომე-
ლნიც ერთ ანგლიის სახელმწიფოს შეადგენენ) იყო
250,000 საკუთარი მამულის მებატრონე. ახლა მთელ
ანგლიაში არის 30,000 მებატრონეზე ნაკლებ. ირლან-
დიაში არის 9,000 მამულის მებატრონე. შოტლან-
დიის მეოთხედი ხუთ კაცს უჭირავს; ანგლიის ნახე-
არი 150 მებატრონესა, ანგლიის და შოტლანდიას აქეს
90 მეტი ანგლიის კვადრატული მილი (135 კვადრატ.
მილი.) და 23 მილიონამდის ხალხი. ანგლიის სახელმწი-
ფოში სულ 29 მილიონამდის ხალხია.

ერთის ბრძანებით, წერილობით (აქტივით) მისი პატივისცემის დედოფლობის დროს ირლანდიის საქონელს ჰირიანობა მიანიჭეს. ამის გამო აკრძალულიყო ანგლიაში შემოყვანა; პარლამენტის მეორე აქტით აკრძალული იყო დამარილებული ხორცი; მესამე აქტით ალექსანდრე ირლანდიიდან ანგლიაში ტყუილად შეტანა. ირლანდიელებმა ცხერის მოშენება დაიწყეს, მაგრამ ანგლიის მეცხვრეებმა, მაშინვე დრტინეა დაიწყეს; და მაშინვე ირლანდიის მატყლი კონდრანტით გახადეს ანგლიაში (პარლამენტის აქტი პარლამენტ II დროს). ირლანდია ცდილობდა თავის სახმარებლათ მატყლი მოეყვანა, მაგრამ ისეთი-საც ეს სასარგებლო არ იყო, მაშინვე წინააღმდეგენ და 1698 წელს ძალათ ეს შემდეგი პირობა დადებინეს მილჰემ მესამეს: იმანა სთქვა: „მე ყოველს ღონისძიებას ვიხმარებ, რომ ირლანდიაში მატყლის მოყვანა დაეცეს.“ და იმან ისე კარგათ ასრულა ეს პირობა, რომ ამ საძოვრით მდიდარ ქვეყანაში მატყლი აღარ მოჰყვანდათ და ოცი ათასი ფაბრიკის პატრონი ძალდატანებული იყო თავი დაენებებინა ირლანდიისათვის. მალე აქ ყოველივე მანუფაქტურული გამოსაყვანი გაქრა: ფანელა, მსხვილი ტილო, ხელთათმანი, აბრეშუმი, კრუჟოვა, შაქარი, ქონი, არაფერი არ დაინდეს. ანგლიამ ყოველივე გასწყვიტა, რაც ანგლიის ინტერესს არ ამწივდებდა და რაც ირლანდიის ხალხის საზოგადოებო იყო. ლორდი ლუფფერო სწერს: „ამ გვარი წესების დაქონებით ასრულებსაგან ერთსა და ნახევარ საუკუნის განმავლობაში ის გამოვიდა, რომ ირლანდიის ხალხი ისე შეებედითად დაესხა მამულის მართვას, როგორც, ერთბაშით შეგუბებული მდინარე უკანა ბრუნდება და მთელს მიწდრებს წალეკეთ იჭერს, რომელსაც წინათ მომცემ მიწათა ჰქვია. მაგრამ არ აქმარეს, რომ მშენებელს ირლანდიელს ძალათ პატარა მამულის მართვა დაეწყო თავის სარჩენელათ. ირლანდიელს უნდა ეშოვნა მამული, რომლისათვისაც საჭირო იყო გაეყო ნაქერ-ნაქერათ დიდი მიწდრები და აღინდელი საქონლის მოყვანა შეეცავლა ხენა თესვაზე; ეს სოციალური (საზოგადოებრივი მოწყობილობა) ცვლილება დაიწყო 1762 წლიდან სწორეთ იმ წელსა, როდესაც ირლანდიის პარლამენტმა დიდი საჩუქრობა დანიშნა ამ ქვეყანაში თესვების შემოტანისათვის. მატანის აკრძალვა და შემოტანის წაქეზებამ გააღვიძა მოძრაობა, რომელიც თან და თან გახშირდა და ბოლოს 1806 წელს უნდა გაეუქმებინათ ირლანდიისა და ანგლიის შორის თესვების გაქრობის დაბრკოლება. მამულის მატარებლებისათვის სასარგებლო იყო გაეყო სახან-სათესი წერილ წერილ სახიზნო ადგილებათა, მაგრამ თანხა არა ჰქონდათ და ახალ მოხიზნენი ისე ღარიბნი იყვნენ, რომ მუშებისთვის ჯამაგირის მაგიერათ პატარა მიწის ადგილი უნდა ეძლიათ მიწური სახლის ჩასაქონებათა და თავის სარჩენ გლახაურ ლუკმის მოსაყვანათა. ამ გვართ, ირლანდიაში დამყარდა ერთგვარი მხნელ-მთესველების გლეხობა (კოტტჯერები, დახიზნულები); ესენი თავიანთ თითქოს ნამუშევრობისთვის ჰირიანხულის ერთ ნაწილს თითონ იღებენ და მეორე ნაწილს მამულის ჰირას აძლევენ მებატონებსა. ამ გვართ რამდენათაც მამულის ჰირა ემატებოდა, იმდენათ მუშაობას ფასი აკლდებოდა და სოფლის მუშა კაცის მდგომარეობა სრულიად ჰირის ზომაზე დარჩა დამოკიდებული. მაგრამ, გკითხვით, რაზედღა უნდა იყოს დამოკიდებული ჰირის ზომა. აქ დიდ თანხიან მამულის პატრონზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგანაც იმთ შეუძლიათ თუ მომატებულს ითხოვს მუშა კაცი, თავისი თანხა სხვა საქმეში იხმაროს, არა, ვინც ირლანდიაში მამულებსა დავობდა, ეს ადგილობრივ

მცხოვრებელი ხალხი იყო, ესენი იყვნენ საცოდენი, არაფერი არა ჰქონდათ ორის ხელის გარდა და ხენა თესვაზე მიეცნენ, რომ ამ ერთის ღონისძიებით თავი ერჩინათ. ამეზიდგან რა უნდა გამოსულიყო, ეს ადგილი შესატყობია, რა კი წარმოიდგენთ, რომ მამული ერთი ვიწრო მიწა დადებული ადგილია; ხალხი კი მიწა დაუდებელი და გაშლილი რამ არის. სადაც ერთმანერთის შეჯიბრება იყო მამულის დაჭერაზე და სადაც ამ შეჯიბრებულის რიცხვი თან და თან ემატებოდა, იქ ჰირის ფასი უნდა ძალიან მომატებულიყო; მუშაობის ფასი კი ნელ ნელა უნდა დაცემულიყო იქამდის რომ შემდეგ იმის დაკლებასთან მუშა გლეხს უნდა ეცოცხლა შიმშილით და ნელნელა სიკვდილით, დიდს შიმშილის შემდეგ 1846—1847 წელს, როდესაც ანგლიამ დიდი ღონისძიება იხმარა, მინც და მინც ეხლა ამ სახელმწიფომ ირლანდიის ადგილ-მამულის ეს დიდი საქმე უნდა გადასწყვიტოს და როგორც ხედავთ მშვიდობიანათ გადაწყვეტა სრულებით არ შემსუბუქდება ძველათ მომხდარ საქმეების დახმარებითა.“

აბისინი იდგან ამბავი. შრისტეშობის 11 (23)დგან იწერებინან, რომ წიგნის გამოგზავნის დროს ანგლიელი ტყვეები კარგათ იყვნენ, მაგრამ ძალიან შეშფოთდნენ, როდესაც შეიტყეს, რომ ანგლია ჯარს გზავნის აბისინიაში (მეგობრებს ზემოთ არის აფრიკაში) იმათ დატყვევების თაობაზე. ტყვეებს ეშინოდათ რომ აბისინიის იმპერატორს მიეღობოდა ანგლიანების მისვლამდინ იმათის ავი არა შეემთხვია რა. ანგლიურს გაზეთის Pall-Mall gazette კორესპონდენტებ ახალს საიბისის არას იწერებინან იანერის 4 და 8 დგან. ბევრი ანგლიის აფიცრები გაუზავნიათ მეგობრებში ცხენისა და ჯარების სასიკვდილოთ. რკინის გზა ოციოდ ვერსამდინ გაუთავებიათ; იქური მცხოვრებლები დიდს განცვიფრებით უყურებდნენ ამ რკინის გზაზე გაგონების სიარულსა, და ლოკომოტივზე (მაშინა, რომელიც ორთქლი ძალით ატარებს ურბებს, ვაგონებს) ამბობდნენ რომ გამოცხადებული ეშმაკიყო. ჯარი და საქონელი კარგათ ჰრისო, ავათყოფობა არ აწუხებოდა. ამბობდნენ, რომ ანგლიანების შესვლაზე აბისინიაში იმპერატორმა მიეღობოდა არა იცის რაო და ამამბის შეტყობინება ეშინიანთო.

ტელეგრაფები.
 ტელისში მიღებული.
პეტერბურგი, 14 თებერვალს. მინისტრთა კამიტეტისგან უმაღლესად დამტკიცებული დებულების ძალით გზავნის „მოსკვიჩის“ გამოცემა მოისპო.
 მსალოს ჯარი დიდდება მდინარის დუნაის პირზე; აესტრიის ჯარის სამშვიდობო შედეგნილობა მცირდება.
პეტერბურგს, 15 თებერვალს. ლონდონიდან გეაცნობებენ: ლორდგა ლერბიმ თავიდან მოიშორა პირველი მინისტრის მოვალეობა; კაბინეთის შედგენა ლიზარელს მიანდეს; ტაიმსსა ჰგონია, რომ ტორის კაბინეთის შედგენას აღარავინ ეწინააღმდეგებო.
 პოსტანტინოპოლიდან გეაცნობებენ 12 თებერვალს: მძევრფაშა სულთნის ბრძანებით სიჩქარით განემგზავრება რუშუკს. იქ მიანდობენ ლუნაის ჯარის უფროსობას. ეს ჯარი უნდათ ძალიან გადიდონ. აღი ფაშას ელიან პოსტანტინოპოლიში.
 13 თებერვლის საფინანსო მინისტრმა გეამოაცხადა პრუსიის დეპუტატთ-პალატაში, რომ პრუსიის მთავრობა ცდილობს მეგობარ ხელმწიფეებიდან თანამდებობის მიღებას, რომ ბიტცინში მოისპობა მტრული მოქმედება; თუ ეს თანდებობა თავის დროზედ არ მიიღო პრუსიამ, რაც წესიერების ასადგენათ დაიხარ-

ჯება, ყველას კარგოს ზიორგის აზღვევინებს; ამიტომ რომ ამ ხელმწიფის და იმის მომხრეების მოქმედება სასაშიშროა სახელმწიფოსთვის.

ზიორგი მუშაობის ცხობრება.
 VIII.
 ზიორგი, როგორც თვითონ ამბობდა, ყველაფერში უიღბლო იყო, ამას ჰქონდა ორი თქვენი მოწონებული ვაზით და ხეხილით საესე ბალები და ეს ბალები სხვა და სხვა მიზეზების გამო ზიორგის ხელიდამ წაუყვია და უწყყო ამ საქმეს უკან დევნა, ბევრი ეცადა, მაგრამ ვერა გააწყო რა

ამასობაში ამ საქმის გამო აქეთ იქით სიარულში ზიორგი ძალიან გაცივდა და შინ რომ მოვიდა, მისცა სიცხე, დაეცა ლოგინათ და ცოტა ხნის განმავლობაში თქვენი ჰირი წაიღო, სამუდამოდ გამოეცალმა ამ წუთი სოფელსა, სადაც დარდის და წვალების მეტი არა ნახა რა. ეს ამბავი იყო 1864 წელსა.—

სოფელს 5. თავზე ერთი პატარა გორაკი არის, რომელიც შუა ადგილას კალთავით მოცარიელებულია; გარეშეშო კი სქლათ არტყია დიდრონი და გაშლილი მუხისა და ჰანდრის ხეები; იმათში თითო-ოროლა მალლა წასული სწორე ნამდის ხეებიც ურეგია. ეს ტიტველა ადგილი პირველივე შეხედვით რაღაცა ოღრო-ჩოღროს წარმოგვიდგენს. აქაიქ მიწა შეგროვებული და ზოგჯერ ქვებიკა ყრია. ეს არის სოფელი 5. სასაფლაო. იქაე გზის პირში, სასაფლაოზე რომ შეხვალთ, დიდი გაშლილი ჰანდარი სდგას და ამ ჰანდარ ქვეშაც ერთი ვეებართელა უჯრით გატლანქული ქვა გლია. ამ ქვის ქვეშ სხვა და სხვა ხელიკების, ჯოჯოგების და ბაყაყების საცხოვრებელს გარდა ბევრი დარდი და ვარამია ჩამარხული. აქ არის ეხლა სამუდამო საცხოვრებელი ზიორგი მუშაობისა, რომელსაც ბოლოს ეს ქვემეძარლებილა დარჩნენ ნუგეშის მცემლათ და ყურის მგდებლათ სხვისგან ყველასაგან მივიწყებულია; იმის საფლაოზე იმის გულის შემატყვიარი არავინა სჩანს...
 საფლაგის ქვას ზედ არა აწერია რა, მაგრამ ისეთი დაღერემილი და დაღონებული სახე აქეს, რომ კაცი უნებლიეთა გრძობს, რომ ღირსიაო ეს ეწეროს: „საჯენ უფალო მავნებელნი ჩემნი.“—
 შანა ეს იყოვო, იტყვის მკითხველი, რომ გაათავებს ამ მოკლე მოთხრობის კითხვასა, ეს ხომ ჩენც ვიცოდითო! ლიხ, მკითხველო, ეს ცხოვრება არავისთვის დამალული არ არის და მეც იმისთვის გაებედე ამის დაწერა.
 ბ. კ.—შვილი.
 20 იელისს
 1867 წელისას.

სახანრო განხილვა.
 სასამართლო პალატის სეკრეტრათ დამტკიცებდა კავკასიის ნამესტნიკის უმათერეს სამმართველოსთან შეკაცებული კოლლეგის სოფენიკი ბაქრადე. სეკრეტრის თანა შემწეებო: ტფილისის ქალაქის სამსჯავრო და სასამართლო პალატის სეკრეტარი ნაფორნი სოფენიკი, მრიცოვი; იმავე პალატის სტოლონაჩანნიკი კოლლეგის სეკრეტარი სურგუნოვი; კავკასიის ნამესტნიკის უმათერეს სამმართველოს გადაკეთების გამო შტატს გარეთ დარჩენილი სტოლონაჩანნიკის უფროსი თანაშემწე სასამართლო საქმეთა დეპარტამენტისა კოლლეგის ასესორი მაქსიმოვიჩი და იმავე დეპარტამენტის სტოლონაჩანნიკის თანაშემწე გძელიევი. სამსამართლო პრისტავებო—ტფილისის გუბერნიის სამმართველოს სტოლონაჩანნიკის თანაშემწე მნიკალოფოვი და უწინდელი

ტფილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში სასამართლო ჩინოვნიკი ბაქრადე. მთარგმნელათ მუშათაისი სამხედრო გუბერნატორის უფროსი ჩინოვნიკი საკუთარი მინდობილებისა კოლლეგის რეგისტრატორი ბაქრადე და ტფილისის საკავრეცო სასამართლოს სეკრეტრის თანაშემწე კოლლეგის სეკრეტარი აბას-მეგსოფიევი

ტფილისის სამხედრო ლაშქრის კანტორა აცხადებს, რომ 5 მარტს დანიშნული ვაჭრობა იჯრით იცისრონ შედგება როგორც უწინ იყო, იმგვართე ხის, თუჯის და რკინის ნივთებისა; სახელდომ უნდა შეიღებოს:
 საფიცრო ხის ნივთები.
 ხუთი სტოლი და შვიდი სკამი ტყუიის ბალიშებით.
 სასაღათო ნივთები.
 რკინის საღებბიანი რვა ვანა და რკინის საღებბიანი ორმოცდა თორმეტი ვედრა.
 ავათყოფების რიცხვის მაჩვენებელი ფიცრები.
 ათი ერთგვარი ფიცარი, საკავრეტო ფიცრები, ხუთას-ორმოცდა ხუთმეტი ფიცარი, პალატების ნუშრების და ავათყოფების დასანიშნავათ, აპპარატის ფიცრები ხუთმეტი, რკინის საღებბიანი კოვშები ოთხი, ტყუიის ბალიშბიანი კრესლო ერთი, კრატები ოთხას ათი, მძიმე ავათ მყოფის გადასტანი საკაცე ერთი, სამ არშინანს საქმეებში ხუთმეტი, პატარა სტოლები ორას ოთხი, პორციონის სტოლები რვა. ტყუიის ბალიშბიანი საქმეებიანი ორმოცდახუთი, ცაქეტი შორმა, წამლის შესანახავი შეკაფები ხუთმეტი, სარეცის და ნივთების დასაწყობი ხუთმეტი, სახელსაწყო შეკაფი ერთი, საბუხრე შეშის შესანახავი უჯრები ათი და შეშების ყუთები თორმეტი.
 რკინის ნივთები
 ხელსაბანი ტაშტებითა და ტაშტ ქვეშ დასადგმლებითა შევიდმეტი.
 თუჯის ნივთები.
 საფურთხე უჯრები ხუთას სამოცდა შვიდი.
 ხელახლოვ-უნდა შეიღებოს.
 საფიცრო ხის ნივთების.
 ტყუიის ბალიშბიანი საქმეები ხუთი, პატარა სტოლები თორმეტი და სხვა საღათის ნივთები.
 1) მისაც მსურს ამავდის აღება იჯართა; იმისგან მოთხოვნენ, რომ წარმოადგინოს ყველა ზემოხსენებულს ნივთებზე სათითოვით თავისი ფასი.
 2) ვაჭრობა მოხდება ზებარათ, აგრეთვე პაკეთით შეტანილ განცხადებითა აი ამ კანონის ძალით (620 и послѣд. статьи VIII Т. св. военныхъ постанововъ)
 3) რომელთაც ჰპირათ მსურთ ვაჭრობა, მოვალენი არიან უბრალო გერბის ქახალდზე წინათ წარმოადგინონ, ა) დოკუმენტები თავის ბინაობაზე ამ სჯულის ძალით (1873 ст 17 X т. гражд. законовъ და ბ) გირაოები და თანდებობა საიჯარო ფასის მესუთეჯზე, რომ კანტორის საერთო ყრილობაში განიხილონ.
 4) პაკეთში დაბეჭდული განცხადებანი და თხოვნანი ზებარათ ვაჭრობისათვის უნდა შეიტანონ ლაშქრის კანტორაში ვაჭრობის დღეს თერთმეტ საათამდის, თუ ამ ვადას გადასცილდა მერვე კი აღარ მიიღებენ.
 5) მისაც პაკეთით უნდა თავისი განცხადების წარმოდგენა, იმან სასამართლო სჯულთა X ტომის 1 ნაწილის 1909 მუხლის ძალით, უნდა ახსნას თავის განცხადებაში თანხმობა იჯარის აღებაზე, რომ დადებული პირობები ბეჯითად ასრულდება; იქვე უნდა იყოს რეცტრი და ფერი ყოველ ნივთზე ასობით დაწერილი. აგრეთვე უნდა იყოს გამოცხადებული ყველა ნივთების ფასი და საიჯარო ფასიცა. ამასთანავე კანონიერი გირაო იმდენი, რომ მანეთზე ოცი პროცენტი მოვიდეს. მინც ამავ ნაკლებს გირაოებს წარმოადგენს, იმის განცხადებას არ მიიღებენ. მანცხადებაში უნდა იყოს ნაწენები გ) ადგილ-საღამო, წოდება, სახელი, გვარი ვაჭრისა, აგრეთვე თვე და რცხვი, როდესაც დაწერილა ეს განცხადება.
 6) ზიოათ მიიღებენ ქალაქში მდებარე მამულსა, რომელსაც ცეცხლის განმარინებელს საზოგადოებას აქვს მიბარებული, მანკის ბილეუბსა და ნაღდ ფულსა.
 ყველა ნივთები უნდა დამზადდეს სამისთვის განმავლობაში მას აქეთ, რაც ვაჭრობას დამტკიცებენ.
 შული მიეცემა იჯარადარს კვიტანციითა ნაწილ-ნაწილათ, ან მთლათ ერთიანათ ისე, როგორც თვითონ ისურვებს ლაშქრის კანტორაში, ან სამაზრო სანტენდენტში, ამავე ვაჭრობის დროს უნდა გამოაქვას დოს თვითონ იჯარადარმა. სხვა დაწერილებითნი პირობანი მკითხველს შეუძლიან შეიტყოს გაზეთის „საქაზის.“ №18
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .
 ამასთანავე წარმოიგზავნება პირველი ნუშერი „სასაფლო გაზეთისა“ მკითხველთათვის გასასიზჯავათ. მისაც მსურს, შეუძლიან „ღროების“ რედაქციის კანტორიდან მოითხოვოს. შასი მთელი წლისა გაგზავნით 7 მანეთი, გაუგზავნელათ 6 მანეთი.